ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N76

ქ. ბათუმი 24 აპრილი 2023 წელი

ერთის მხრივ, სსიპ **„აჭარის მუზეუმი"** (შემდგომში „შემსყიდველი"), წარმოდგენილი დირექტორის თეონა ზოიძის სახით და მეორეს მხრივ, **ფიზიკური პირი მუხრან მიქელაძე (პ.ნ. 61010000302)** (შემდგომში „მიმწოდებელი"), „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1-ლი ნაწილის „ს" ქვეპუნქტის საფუძველზე, დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინების განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ „ხელშეკრულება") - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება მასზე თანდართული ყველა დოკუმენტითა და დამატებებით, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ;
1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" – ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულების სანაცვლოდ;
1.3. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;
1.4. „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურების გაწევას მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;
1.5. "დღე", "კვირა", "თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე;
1.6. „მომსახურება" – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანია სსიპ - აჭარის მუზეუმის ხელოვნების მუზეუმის შენობაზე გარე კამერების ფუნქციონირებისათვის ელ. გაყვანილობის შეცვლა ამწეს დაქირავების საშუალებით სახელმწიფო შესყიდვა - CPV 45500000 – 45510000 ამწეებისა და მათი ოპერატორების დაქირავება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების სავარაუდო ღირებულებაა 150 ლარი.
3.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებით გაწევასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.
3.3. დაფინანსების წყარო- **ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტი**

4. მომსახურების გაწევის ვადა

4.1. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე მიმწოდებელმა მომსახურება უნდა გასწიოს 2023 წლის 25 მაისამდე.

5. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

5.1. მომსახურების მიღება-ჩაბარებას ახორციელებს ლოჯისტიკის მენეჯერი ედვარდ აფაქიძე
5.2. მომსახურების მიღება-ჩაბარება ხორციელდება გაწეული მომსახურების ღირებულების მითითებით შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

6. ანგარიშსწორების ფორმა, წესი და ვადები

6.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ რეკვიზიტებზე, ეროვნულ ვალუტაში.
6.2. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების ღირებულება, ხელშეკრულების მე-5 მუხლით განსაზღვრული წესით შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტის წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.
6.3. მიმწოდებელი ვალდებულია ანგარიშსწორების დოკუმენტზე მიუთითოს ყველა საჭირო რეკვიზიტი. წინააღმდეგ შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს არ მიიღოს დოკუმენტი.

7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1. შემსყიდველს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

8.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.
8.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9. ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.02 პროცენტის ოდენობით.

9.2. 12.1 პუნქტით ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება ჯარიმა ხელშეკრულების ღირებულების 10 პროცენტის ოდენობით.

9.3. პირგასამტეხლოს და ჯარიმის გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ხელშეკრულებით განსაზღვრული ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. სადაო საკითხების გადაწყვეტა

10.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

10.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მიმართოს სასამართლოს.

11. სხვა პირობები

11.1. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე. მესამე პირებთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

11.2. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

11.3. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, ელექტრონული წერილის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე. შეტყობინება
ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

11.4. ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის შესრულდება ქართულ ენაზე.

11.5. ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი ინახება შემსყიდველთან და ერთი ეგზემპლარი მიმწოდებელთან.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2023 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

13. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი:

სსიპ „აჭარის მუზეუმი"
მისამართი: ქ. ბათუმი, აბელოდიანის ქ. 4
საიდენტიფიკაციო კოდი 245 769 271
დირექტორი
თეონა ზოიძე

მიმწოდებელი:

ფ.პ. მუხრან მიქელაძე
პ/ნ 61010000302
საბანკო რეკვიზიტები: ს.ს. საქართველოს ბანკი"
საბანკო კოდი: BAGAGE**22**
ა/ა: GE21BG 0000 0001 3113 0949
მუხრან მიქელაძე.

Mukhran Mikeladze 61010000302

Digitally signed by Mukhran Mikeladze
Date: 2023.04.24 17:29:27

ფასების ცხრილი

N	დასახელება	ცალი	ფასი	ჯამი
1	ამწეს დაქირავება 2 საათით.		150	150
	საერთო ღირებულება: 150 ლარი			

ინ ფ ო რ მ ა ც ი ა

ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ქ. ბათუმი 24 აპრილი 2023 წელი

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–8 მუხლის თანახმად, ხელის მოწერით ვადასტურებ, რომ სსიპ „აჭარის მუზეუმის“ მიერ 2023 წლის 24 აპრილის ფ. პ. **მუხრან მიქელაძე** (ს.ნ. 61010000302) გაფორმებულ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N76 ხელშეკრულებით გათვალისწინებული **საქონლის/მომსახურების** შესყიდვაში ჩემი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

დირექტორი: / თეონა ზოიძე/

ლოჯისტიკის მენეჯერი: /ედვარდ აფაქიძე/